

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის

შესრულების ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 18 იანვარს, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს №21 დადგენილებით, 54070,4 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 8 ცვლილება და წლის ბოლოს 67301,9 ათასი ლარი შეადგინა.

2018 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შემდეგი პრიორიტეტები განისაზღვრა:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

ეკონომიკა;

გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსულობების გეგმის (67301,9 ათასი ლარი) ფაქტობრივმა შესრულებამ (ნაშთის ჩათვლით) 66483,9 ათასი ლარი შეადგინა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2018 წელი		
	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	48321.2	60,049.2	58,912.2
გადასახადები	12600.0	12,600.0	12,771.9
გრანტები	26409.2	37,921.7	37,414.9
სხვა შემოსავლები	9312.0	9,527.5	8,725.4
ხარჯები	45941.7	49,031.5	46,421.4
შრომის ანაზღაურება	4451.2	4,443.2	4,442.0
საქონელი და მომსახურება	10131.2	6,529.4	5,322.9
პროცენტი	394.0	486.0	484.1
სუბსიდიები	26371.7	29,907.2	29,693.8
გრანტები	70.0	170.0	168.0
სოციალური უზრუნველყოფა	2824.4	3,319.7	3,620.5
სხვა ხარჯები	1699.2	4,176.0	2,690.1


საოპერაციო სალდო	2379.5	11,017.7	12,490.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4251.7	14,357.8	8,401.8
ზრდა	7501.7	17,907.8	11,789.2
კლება	3250.0	3,550.0	3,387.4
მთლიანი სალდო	-1872.2	-3,340.1	4,089.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2499.2	-3,702.7	3,782.1
ზრდა		0.0	7,966.4
აქციები და სხვა კაპიტალი			
სხვა დებიტორული დავალიანებები			7,966.4
კლება	2499.2	3,702.7	4,184.3
სხვა დებიტორული დავალიანებები	2499.2	3,702.7	4,184.3
ვალდებულებების ცვლილება	-627.0	-362.6	-306.9
ზრდა			
კლება	627.0	362.6	306.9
საშინაო	627.0	362.6	306.9
ბალანსი	0.0	0.0	0.0

სახეობების მიხედვით შემოსულობები შემდეგნაირად გამოიყურება:



შემოსავლები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 58912,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 60049,2 ათასი ლარის 98,1%-ია.




გადასახადების სახით 2018 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებულია 12771,9 ათასი ლარი, გეგმა (12600,0 ათასი ლარი) შესრულდა 101,4%-ით.

საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 5410,8 ათას ლარს (გეგმა 5500,0 ათასი ლარი), შესრულებულია 98,4%-ით. მათ შორის: გადასახადი ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან შეადგენს 4663,6 ათას ლარს, არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა) – 4,3 ათას ლარს, გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან - 40,7 ათას ლარს. გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან -702,2 ათას ლარს.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიღებულია 7361,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (7100,0 ათასი ლარი) 103,7%-ია, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 5602,2 ათასი ლარი (გეგმა 5670,0 შესრულდა 98,8%-ით), უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადი შემოვიდა 17,3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარი) 34,6%-ია, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 426,7 ათასი ლარი (გეგმა 280,0 ათასი ლარი შესრულდა 152,4%-ით), გადასახადი მიწაზე - 1314,9 ათასი ლარი (გეგმის 1100,0 ლარი 119,5%).


ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი სახეობების მიხედვით



ქონების გადასახადი	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
საწარმოთა ქონებაზე გადასახადი	5670,0	5602,2	98,8
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	50,0	17,3	34,6
ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	280,0	426,7	152,4
მიწაზე ქონების გადასახადი	1100,0	1314,9	119,5
სულ:	7100,0	7361,1	103,7

გრანტები


2018 წელს გრანტების სახით ქუთაისის ბიუჯეტში ჩაირიცხა 37414,9 ათასი ლარი, გეგმის (37921,7 ათასი ლარი) 98,7%, აქედან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 603,7 ათას ლარს, სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 36811,2 ათას ლარს, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 25678,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 220,0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 11954,7 ათასი ლარიდან მიღებულ იქნა - 10913,2 ათასი ლარი.



სხვა შემოსავლები

2018 წლის განმავლობაში სხვა შემოსავლების კუთხით შემოვიდა 8725,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (9527,5 ათასი ლარის) 91,6%-ს შეადგენს.

2018 წლის სხვა შემოსავლები



რენტის სახით ბიუჯეტში შემოსულია 181,1 ათასი ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 94,8 ათასი ლარი; **შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან** - 86,3 ათასი ლარი, გეგმა (50,0 ათასი ლარი) შესრულდა 172,6%-ით;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 2041,8 ათასი ლარი, გეგმის (2300,0 ათასი ლარი) 88,8%;

სანებართვო მოსაკრებლები - 76,8 ათასი ლარი, გეგმის (150,0 ათასი ლარი) 51,2%;

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - ფაქტობრივად შემოვიდა 2,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,0 ათასი ლარი) 28%-ია.;

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შესრულდა 90,3%-ით (გეგმა 2000,0 ათასი ლარი), ფაქტობრივად შემოვიდა 1806,1 ათასი ლარი. ასევე სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებლების კუთხით მიღებულია 2,3 ათასი ლარი;

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელიდან მიღებულია 1,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) - ფაქტობრივად შემოსულმა თანხამ შეადგინა 2809,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2775,5 ათასი ლარი) 101,2%-ია.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 547,0 ათასი ლარი (გეგმის 97,3%).

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების კუთხით სულ მიღებულია 1256,5 ათასი ლარი, გეგმა (1450,0 ათასი ლარი) შესრულდა 86,7%-ით. წლიური გეგმის განსაზღვრა მოხდა წინა წლების (2015-2017 წწ) ფაქტებიდან გამომდინარე.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 3387,4 ათასი ლარი, გეგმა (3550,0 ათასი ლარი) შესრულდა 95,4%-ით, სადაც ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოვიდა 1691,8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 1695,6 ათასი ლარი.

დასახელება	2018 წელი		
	გეგმა	ფაქტი	%
არაფინანსური აქტივები	3550,0	3387,4	95,4
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	1300,0	1691,8	130,1
შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან	2250,0	1695,6	75,4

ფინანსური აქტივები

2018 წლის დასაწყისში ფინანსურმა აქტივებმა შეადგინა 4184,3 ათასი ლარი.

ვალდებულებები

აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2018 წლის ბიუჯეტში წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 362,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან დაიხარჯა 306,9 ათასი ლარი (გეგმის 84,6%).


გადასახდელები

2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 58517,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 67301,9 ათასი ლარის 86,9%-ია. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, შესრულდა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ სფეროებში არსებული ყველა აუცილებელი ვალდებულება.

2018 წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის საკასო ხარჯი	%	ნაშთი
გადასახდელები	67,301.9	58,517.5	245.1	8,784.4
ხარჯები	49,031.5	46,421.4	94.7	2610.1
შრომის ანაზღაურება	4,443.2	4,442.0	100.0	1.2
საქონელი და მომსახურება	6,529.4	5,322.9	81.5	1206.5
პროცენტი	486.0	484.1	99.6	1.9
სუბსიდიები	29,907.2	29,693.8	99.3	213.4
გრანტები	170.0	168.0	98.8	2.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,319.7	3,620.5	109.1	-300.8
სხვა ხარჯები	4,176.0	2690.1	64.4	1485.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	17,907.8	11,789.2	65.8	6118.6
ვალდებულებების კლება	362.6	306.9	84.6	55.7

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:



ორგანიზაციული კლასიფიკაციით 2018 წლის გადასახდელები შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	2018 წლის დაზუსტებული გეგმა	2018 წლის ფაქტი	%
ჯამური	67,301.9	58,517.5	86.9
წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	8,403.4	8,275.8	98.5
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,225.9	1,222.9	99.8
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	5,332.0	5,274.7	98.9
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	205.0	203.3	99.2
სარეზერვო ფონდი	577.0	553.7	96.0
წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	55.6	54.8	98.6
კრედიტის დაფარვა (მ.გ.ფ.)	793.0	791.0	99.7
საჯარო მოსამსახურეთა სწავლება -გადამზადება	41.9	31.8	75.9
საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	97.0	96.6	99.6
საგრანტე პროგრამა „ნარჩენების მართვის ინოვაციური გამოცდილების დანერგვა“	20.0	0.0	0.0
საგრანტე პროგრამა „კატასტროფების მართვა“ თანადაფინანსება	56.0	47.0	83.9
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	24,424.3	16,715.8	68.4
საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროგრამა	13,710.8	8,630.9	62.9
გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობა	11,014.9	6,995.3	63.5
ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	257.1	113.6	44.2
საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	568.8	555.0	97.6
სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	1,870.0	967.0	51.7
პროგრამა „კორპუსი“	2,090.2	1,379.6	66.0
სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა	285.0	25.7	9.0
საახალწლოდ ქალაქის გაფორმების პროგრამა	270.0	265.6	98.4
საპროექტო-სახარჯთადრიცხვო სამუშაოების პროგრამა	290.0	165.5	57.1
ქალაქის იერსახის მოწესრიგების პროგრამა	6,207.9	5,090.8	82.0
გარეგანათების შუქნიშნებისა და ვიდეოკონტროლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	488.6	487.4	99.8
შადრევნების ექსპლოატაცია	410.3	396.3	96.6
ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	324.7	120.0	37.0
ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	603.0	331.1	54.9
მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა	465.3	424.8	91.3
ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	40.0	0.0	0.0
ქალაქ ქუთაისში მემორიალური დაფების მოწყობა და პანთეონის მოვლა	42.0	12.4	29.5
ააიპ „ქუთაისის სერვისი“	3,463.0	3,318.8	95.8
უნებართვოდ ან/და საუნებართვო პირობების დარღვევით აშენებული შენობა – ნაგებობის დემონტაჟი	71.0	0.0	0.0
ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა-რეკონსტრუქცია	300.0	0.0	0.0

წინა პერიოდში განხორციელებული წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საბოლოო ანგარიშსწორების პროგრამა	666.1	436.7	65.6
მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჰაერაკო სკოლის რეაბილიტაციის პროგრამა	291.7	267.0	91.5
საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	612.6	454.0	74.1
ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	701.6	547.9	78.1
თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა	30.0	16.3	54.3
ქალაქის გენერალური გეგმის შედგენის პროგრამა	100.0	0.0	0.0
ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა	39.9	0.0	0.0
ააიპ „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი“	531.7	531.6	100.0
გარემოს დაცვა	5,640.1	5,589.7	99.1
ააიპ „სპეციალური სერვისები“	4,815.0	4,812.5	99.9
ქალაქის გამწვანების, მოვლა – პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა	760.0	712.2	93.7
ააიპ „მოსწავლე – ახალგაზრდობის პარკი“	27.1	27.1	100.0
ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი“	38.0	37.9	99.7
განათლება	11,452.1	11,104.1	97.0
ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“	10,000.0	9,986.4	99.9
განათლების ღონისძიებები	79.0	78.5	99.4
ააიპ „ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა“	715.0	714.6	99.9
ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობა	658.1	324.6	49.3
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	12,745.0	12,546.1	98.4
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	7,143.2	6,993.8	97.9
ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“	3,540.9	3,509.0	99.1
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	899.5	848.9	94.4
შპს „საკალათბურთო კლუბი ქუთაისი 2010“	950.0	950.0	100.0
სპორტის სასახლე	34.3	34.3	100.0
ააიპ „ქუთაისის ტაეკვონდოს სპორტული კლუბი“	2.0	2.0	100.0
ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015“	200.0	199.5	99.8
სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	1,155.5	1,089.1	94.3
შპს „საფეხბურთო კლუბი მართვე“	115.0	115.0	100.0
შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“	246.0	246.0	100.0
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	5,503.3	5,475.5	99.5
ააიპ „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“	3,685.9	3,685.6	100.0
კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	964.0	936.5	97.1
ააიპ „ქალაქ ქუთაისის სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“	13.4	13.4	100.0
ააიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი“	840.0	840.0	100.0
საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	98.5	76.8	78.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,935.4	3,738.1	95.0
ჯანდაცვის პროგრამები	1,181.0	1,122.4	95.0

ააიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“	150.0	142.5	95.0
მედიკამენტებით უზრუნველყოფა	235.0	215.0	91.5
სამედიცინო დახმარება	730.0	707.5	96.9
ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა	60.0	53.6	89.3
ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება	6.0	3.8	63.3
სოციალური პროგრამები	2,754.4	2,615.7	95.0
სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა	18.0	17.6	97.8
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	925.0	918.7	99.3
სარიტუალო დახმარების პროგრამა	70.0	4.5	6.4
სოციალური ღონისძიებები	293.0	285.8	97.5
სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	164.0	159.5	97.3
განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა	168.0	166.7	99.2
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება	31.0	30.2	97.4
უფასო მგზავრობა	199.0	186.7	93.8
ააიპ „ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლი“	620.0	619.3	99.9
კობლერული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	23.5	16.9	71.9
ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა	22.0	18.9	85.9
შინმოვლა	20.0	20.0	100.0
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის	125.0	124.2	99.4
შშმ პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება	19.0	7.0	36.8
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა	10.0	6.3	63.0
მარტოხელა შშმბელთა დახმარების პროგრამა	12.0	6.4	53.3
ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	1.0	0.0	0.0
საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის - დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა	25.5	24.0	94.1
შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა	8.4	3.0	35.7

სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა 553,7 ათასი ლარი, აქედან: მოქალაქეთა მატერიალური დახმარებისათვის დახარჯულია 468,2 ათასი ლარი; თეატრების მხარდაჭერისათვის დაიხარჯა 9,5 ათასი ლარი; ფართის იჯარისათვის - 4,1 ათასი ლარი; სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მიზნით დაიხარჯა 71,9 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის 2018 წლის საკასო შესრულება შეადგენს 16715,8 ათას ლარს. გეგმა განისაზღვრა 24424,3 ათასი ლარით (68,4%).

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 8630.9 ათასი ლარით, გეგმა 13710.8 ათასი ლარი შესრულდა 62.9%-ით.

გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობის ხარჯები დაფინანსდა 6995.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (11014.9 ათასი ლარი) 63.5%-ია. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა 38 ქუჩას და 2 ქუჩაზე დღეის მგომარეობით მიმდინარეობს სამუშაოები. მოეწყო 24107 მ2 ასფალტის საფარი. 33761 მ2 ბეტონის საფარი, ორმოულად შეკეთდა 20000 მ2 ასფალტის საფარი. სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ქუჩებზე: ბელიაშვილის ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; ვალერიან გუნიას ქუჩის გზის ბეტონის

საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; ტყიბულის ქუჩის მე-2 და მე-3 შესახვევების, დ.თავდადებულის ქუჩის მე-2 შესახვევისა და თომაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; გელათის ქუჩის მე-4 შესახვევის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; ტყიბულის ქუჩის ბოლო მონაკვეთის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; ლესელიძის ქუჩის მე-2 შესახვევის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; გელათის ქუჩაზე დედათა მონასტერთან მისასვლელი გზისა და მწვანეყვავილას ქუჩის №186, 188, 190, 192, 194, 196 ნომრებთან გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წერეთლის ქუჩის მე-8 ჩიხისა და ნინოშვილის ქუჩის მე-13 ჩიხის გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 207,8 ათასი ლარი; ახალგაზრდობის გამზირის მე-6 და მე-7 შესახვევების ბეტონის საფარით მოწყობა; ზვიად გამსახურდიას გამზირის მესამე ჩიხის გზის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; თაბუკაშვილის ქუჩის ბოლო მონაკვეთში, ეკლესიასთან მისასვლელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა; ასლანიკაშვილის ქუჩის პირველი შესახვევის, ლესელიძის ქუჩის 1ა ჩიხისა და ე.გაბაშვილის ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; თბილისის ქუჩის ა/ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; თბილისის ქუჩის პირველი, მე-2 და მე-4 ჩიხების ა/ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; თაბუკაშვილის ქუჩის მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ჩიხის ა/ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; დუმბაძის ქუჩის რეაბილიტაცია (გზა, ტროტუარი, ღვარსადენი); ო.ფხაკაძის ქუჩის მე-2 შესახვევისა და ინგოროყვას ქუჩის მე-4 შესახვევის გზის ბეტონის საფარისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა; ნიკვას ქუჩის მე-2 შესახვევში N7 ბინიდან თაბუკაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ გზამდე გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა; ი.ჭავჭავაძის გამზირის №67-ისა და №67ბ-ს მიმდებარედ გზის ინფრასტრუქტურის მოწყობა; ძნელაძის ქუჩის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები; ჭავჭავაძის გამზირზე „მაკდონალდის“ ირგვლივ სანიაღვრე ქსელისა და გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები; ჟიული შარტავას ქუჩის მე-3 შესახვევის გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები (2016 წლის პროექტი); ასლანიკაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევი, ქეთევან წამებულის ქუჩის მე-2 შესახვევის გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები (2017 წლის პროექტი); იაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია (გზა, ტროტუარი, ღვარსადენი, სანათები – (მიმდინარეობს სამუშაოები); ბარათაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია (გზა, ტროტუარი, ღვარსადენი – (მიმდინარეობს სამუშაოები).

ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციისათვის გეგმა განისაზღვრა 257.1 ათასი ლარით, დაიხარჯა 113.6 ათასი ლარი (44.2%). მისასვლელი გზების რეაბილიტაცია განხორციელდა 17 ობიექტზე.

საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 555.0 ათასი ლარით და გეგმა (568.8 ათასი ლარი) შესრულდა 97.6%-ით. პროგრამის ფარგლებში ექსპლოატაცია გაეწია 16 ერთეულ ბუნებრივ სასულეს; მოეწყო ახალი ბუნებრივი სასულე ი.პეტრიწის ქუჩის N54-ში - 15 ათასი ლარი; სერიოზული სამუშაოები ჩატარდა მდინარე ოლასკურას კალაპოტის გასაწმენდად; მოეწყო წერეთლის ქუჩის მერვე შესახვევისა და ნინოშვილის ქუჩის მეცამეტე ჩიხის ღვარსადენები; მოეწყო ი.პეტრიწის ქუჩაზე N78 სასულე.

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება დაფინანსდა 967.0 ათასი ლარის ფარგლებში, წლიური გეგმა შეადგენდა 1870.0 ათას ლარს (51.7%). ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდულ იქნა 52 693,61 ლარის გადასახური მასალა, მათ შორის 9 000 მ2 ჰიდროსაიზოლაციო მასალა და 1 000მ2 გოფირებული თუნუქი. აღნიშნული მასალა სრულად გაიცა 58 მისამართზე. ქალაქში მოეწყო 26 საყრდენი კედელი. კერძოდ: ი.პეტრიწის ქუჩის N14-თან, ლუკა ასათიანის ქუჩის N11 (მანდარიას ქუჩა N19)-თან; წერეთლის ქუჩის მე-5 ჩიხში, N19-თან (ახალი სანიაღვრე ქსელი და საყრდენი კედელი); გელათის ქუჩის N396-ის მიმდებარედ, გრიბოედოვის ქუჩის N2 სახლის ეზოსთან; სხირტლადის ქუჩის N25-თან (მე-20 საჯარო სკოლის ეზოს ჩამონგრეული საყრდენი კედელი); ყაზბეგის ქუჩის მე-5 ჩიხის N50-თან; ყაზბეგის ქუჩის N15-თან (ქვის არსებული კედლის იერსახის შენარჩუნებით); ჭაბუკიანის

ქუჩის N18-თან მდებარე სასულესთან (მისასვლელი არხი და საყრდენი კედელი); დავით და კონსტანტინეს ქუჩის N67-თან; ცაცხვების ქუჩის N3-თან; ასლანიკაშვილის ქუჩის N70-თან; ე.გაბაშვილის ქუჩის N14-თან; მიქელაძე-მეველეს ქუჩის პირველი შესახვევის N21-თან; ასლანიკაშვილის ქუჩის პირველი შესახვევის N1-ის მიმდებარედ; ახალგაზრდობის გამზირის მე-9 შესახვევთან (დასაწყისი); სოლომონ მეორეს ქუჩის N61ა-თან; ნიკო მარის ქუჩის N1-თან (რკინიგზის მხრიდან); მწვანე ყვავილას ქუჩის N31-თან; მწვანე ყვავილას ქუჩის N80 -თან; მწვანე ყვავილას ქუჩაზე გუმათი-2-თან; კიბულას ქუჩის პირველი შესახვევის N6-თან; კიბულას ქუჩის მე-4 შესახვევში (მარჯვენა მხარე); გელათის ქუჩის მე-6 შესახვევთან; თომაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის N2 -თან, გელათის ქუჩის მე-6 ჩიხის N2-თან. ვინაიდან სტიქია მოხდა 2018 წლის 30 ნოემბერს-01 დეკემბერს, აღნიშნული ხელშეკრულებების სამუშაოების საბოლოო შესრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 10 იანვრით. სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სრულად შესრულდა, თუმცა მათი ანაზღაურება დაკავშირებულია საზედამხედველო ორგანოს ინსპექტირების ანგარიშის წარმოდგენასთან, რის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი თანხების ანაზღაურება.

პროგრამა „კორპუსისთვის“ 2018 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 2090.2 ათასი ლარი, აქედან დაიხარჯა 1379.6 ათასი ლარი (66%). 2018 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 55 ეზოს. დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 ლოფტზე: სულხან-საბას გამზირის N59-ში; ნიკეას ქუჩის N64-ში; ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის N20-ში; ხარებავას ქუჩის N6-ში; ბალანჩივამის ქუჩის მე-2 შესახვევის N2/2-სა და თაბუკაშვილის ქუჩის N205-ში. მოეწყო 4 ფანჩატური, 2 საბავშვო ატრაქციონი უშუალოდ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის მასისურამის ქუჩის N15-ში და ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის N30-ში, გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულ იქნა და დამონტაჟდა 80 ძელსკამი, 11 ობიექტზე განხორციელდა დაზიანებული წყალ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია, 62 ობიექტზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 113 სადარბაზოს. 74 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას გადაეცა 25000მ² სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალა.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა დაფინანსდა 25.7 ათასი ლარით და გეგმა (285.0 ათასი ლარი) შესრულდა 9%-ით. სამუშაოები დაყოფილია 3 ეტაპად: 1-ლი ეტაპის ფარგლებში დასრულდა სამუშაოები 15 ობიექტზე. მე-2 ეტაპის ფარგლებში დასრულდა სამუშაოები 5 ობიექტზე. მე-3 ეტაპის ფარგლებში დასრულდა სამუშაოები 6 ობიექტზე. სულ პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 26 საცხოვრებელი სახლის სახურავს. ტენდერები გამოცხადდა 2018 წლის ოქტომბერში, რაც დაკავშირებული იყო საზედამხედველო ორგანოსთან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმებასთან. შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოების შესრულების ვადამ გადაიწია 2019 წლის იანვარ-თებერვალში.

სახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებებისათვის დაზუსტებული გეგმიდან (270.0 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 265.6 ათასი ლარი, გეგმის 98.4%.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამის საკასო ხარჯმა შეადგინა 165.5 ათასი ლარი, გეგმა (290.0 ათასი ლარი) შესრულდა 57,1%-ით.

ქალაქის იერსახის მოწესრიგების პროგრამის საკასო შესრულება შეადგენს 5090.8 ათას ლარს, გეგმა 6207.9 ათასი ლარი შესრულდა 82%-ით.

გარეგანათების, ვიდეოკონტროლისა და შუქნიშნების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის საკასო შესრულებამ 487.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 488.6 ათასი ლარის 99.8%-ია. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში გარე განათების განყოფილების მიერ, 44 ქუჩაზე ძველი 150 ვატის ნათურები, ახალი ე.წ. „LED“ ტიპის 90 ვატის სანათებით შეიცვალა. ჯამში 1500 ცალი დიოდური სანათი დამონტაჟდა, რამაც ელექტრო ენერჯის ნაკლები დანახარჯი მოგვცა. წლის განმავლობაში მოხდა 3000 ცალი გარე განათების 150

ვატიანი ნათურების შეცვლა. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისმა“ აღმაშენებლის გამზირზე არსებული პალმების ხეივნის ღამის განათება აღადგინა. კერძოდ, ძველი დაზიანებული სანათები, ახალი 50 ვატიანი ე.წ. „LED“ ტიპის მწვანე ფერის სანათებით შეცვალა. ჯამში 289 ცალი თანამედროვე ტიპის სანათი დამონტაჟდა. ასევე, განხორციელდა ქალაქში არსებული 15 მინი მოედნისა და 8 მინი სკვერის ღამის განათების აღდგენა. აქედან, 4 სკვერში ფერადი განათებები დამონტაჟდა. ასევე, მოხდა ბაგრატის ტაძართან ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებული დაზიანებული სანათების აღდგენა და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ოპერის თეატრის შენობის გარე ფასადის, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობებისა და მონპლეზირის თაღის გარე ფასადების ღამის განათების აღდგენა. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისმა“ სამი ოთარისა და ექვთიმეს ძეგლების მინათების აღდგენითი სამუშაოებიც განხორციელა. მანამდე არსებული 500 ვატიანი მეტალო ჰალოგენები დიოდური „LED“ ტიპის 150 ვატიანი სანათებით შეიცვალა. ნიკეასა და ლომოურის ქუჩების გზაჯვარედინზე ახალი შუქნიშანი მოეწყო, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ მოხვევის დამატებითი სექციითა მოწყობილი და გზაჯვარედინისა და სავალი ნაწილების გადაკვეთას მოაწესრიგებს. ასევე ქალაქის მასშტაბით მოხდა 8 კვეთაზე ძველ შუქნიშნებზე ნათურების შეცვლა (წლის განმავლობაში რამდენჯერმე). შეიცვალა 58 ცალი. გამოიცვალა 110 ცალი კონდენსატორი და 6 ცალი ადაფტერი. საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე, ამაღლების სახელობის ეკლესიის შენობის გარე ფასადი განათდა. კერძოდ, ე.წ. „LED“ ტიპის 150 ვატიანი დეკორატიული სანათები დამონტაჟდა. გაანათდა დედაენის ძეგლი დიოდური სანათებით. კერძოდ, განხორციელდა ე.წ. „LED“ ტიპის 150 ვატიანი სანათების დამონტაჟება. მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკში, სკეიტ ბორდისთვის განკუთვნილი მოედნის ირგვლივ, ძველი 150 ვატიანი სანათები, ახალი „LED“ ტიპის 90 ვატიანი სანათებით შეიცვალა. დახაზვების განყოფილების მიერ 28 ქუჩაზე ერთკონტურიანი, ორკონტურიანი, წყვეტილი, შეჩერების ხაზები დაიხაზა. ქვეითა მოსიარულეთა გადასასვლელები 32-მდე ქუჩაზე დაიხაზა. ჯამში 154 ე.წ. „ზებრა“. საპარკინგე ადგილები მოეწყო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და 3 ქუჩაზე. ბორდიურების დახაზვა განხორციელდა აღმაშენებლისა და ახალგაზრდობის გამზირებზე. ქალაქის სხვადასხვა უბანში 80-მდე გარე განათების ბოძი დამონტაჟდა.

შადრევნების ექსპლოატაციისათვის გეგმით გათვალისწინებული 396,3 ათასი ლარიდან დაიხარჯა 410,3 ათასი ლარი (96,6%). განხორციელდა 10 შადრევნისა და 4 სასმელი ნიჟარის მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაცია (ცენტრალურ ბაღში მდებარე 2 შადრევანი, ცენტრალურ მოედანზე მდებარე შადრევანი, ნინოშვილის ბაღში მდებარე შადრევანი, ხარაზოვის ბაღში მდებარე შადრევანი, I სკოლასთან მდებარე შადრევანი, ყოფილ პროკურატურასთან მდებარე შადრევანი, კიკვიძის სკვერში მდებარე შადრევანი, ნიკოლაძის სკვერში მდებარე შადრევანი, ზ.გამსახურდიას გამზირისა და შარტავას ქუჩის კვეთაზე მდებარე შადრევანი და სასმელი ნიჟარები).

ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობის პროგრამა დაფინანსდა 120.0 ათასი ლარის ოდენობით, გეგმით გათვალისწინებული 324.7 ათასი ლარის 37%-ით. 10 ობიექტზე მოეწყო საყრდენი კედელი: შ.არაგვისპირელის ქუჩის №39, კლდიაშვილის ქუჩის №36, პ.იაშვილის ქუჩის №21 და თომაშვილის ქუჩის №9-ის მიმდებარედ, პეტრიწის ქუჩის №20, ქეთევან წამებულის ქუჩის მე-2 შესახვევის №2, ქეთევან წამებულის ქუჩის №7 საყრდენი კედლის მოწყობა – 144,2 ათასი ლარი; მწვანე ყვავილას ქუჩის №10, №36, №76 საყრდენი კედლის მოწყობა – 160,5 ათასი ლარი; სამუშაოები დასრულდა 2019 წელს და შესაბამისად, მიღება-ჩაბარება და ანაზღაურება განხორციელდა მიმდინარე წელს.

ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებისათვის დაიხარჯა 331.1 ათასი ლარი, გეგმით (603.0 ათასი ლარი) გათვალისწინებულის 54.9%. 2018 წელს დაიწყო ქუთაისში „თეთრი ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება არ განხორციელებულა, ორგანიზაციამ ვერ შეძლო სამუშაოების ჯეროვნად შესრულება, რის გამოც შეუწყდა ხელშეკრულება. აღდგა

პირვანდელ მდგომარეობაში ქალაქ ქუთაისში ჯაკვის ხიდის მოაჯირი. მოეწყო აკაკი ხორავას ქუჩაზე, რამაზ შენგელიას სახელობის „ტორპედოს“ სტადიონთან დეკორატიული ბურთი.

მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაციისა და პანდუსების მოწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 465.3 ათასი ლარი შესრულდა (424.8 ათასი ლარი) 91.3%-ით. პროგრამის ფარგლებში მოწესრიგდა თაბუკაშვილის ქუჩის N1-ში მდებარე შენობის ფასადი; რეაბილიტაცია ჩაურადა 3 მრავალსართულიან სახლს: წერეთლის ქუჩის №142, თბილისის ქუჩის №33-ისა და წმინდა ნინოს ქუჩის №6-ს.

საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი შეადგენს 454,0 ათას ლარს, რაც გეგმის (612,6 ათასი ლარი) 74,1%-ია. პროგრამის ფარგლებში მოხდა პროექტების შექმნა, ზოგიერთი პროექტის ღირებულება, ვინაიდან გარდამავალი იყო, ანაზღაურდება 2019 წელს.

ქალაქ ქუთაისში მემორიალური დაფების მოწყობისა და პანთეონის მოვლის ხარჯი შეადგენს 12,4 ათას ლარს, რაც გეგმის (42,0 ათასი ლარი) 29,5%-ია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ქუთაისში, ცენტრალურ ბაღში მდებარე „დები იშხნელების“ 4 ფიგურიანი ქანდაკების დაზიანებული დეტალების აღდგენა-რესტავრაცია.

წინა პერიოდში განხორციელებული წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საბოლოო ანგარიშსწორების პროგრამა დაფინანსდა 436.7 ათასი ლარით, გეგმა განისაზღვრა 666.1 ათასი ლარით, (65.6%).

მაია ჩიბურდანიძის სახელობის საკადრაკო სკოლის რეაბილიტაციის პროგრამის ხარჯმა შეადგინა 267.0 ათასი ლარი, გეგმის (291.7 ათასი ლარი) 91.5%.

ეკონომიკის საკასო შესრულება შეადგენს 547,9 ათას ლარს, გეგმა 701,6 ათასი ლარი შესრულდა 78,1%-ით.

თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა - სულ დაიხარჯა 16,3 ათასი ლარი და გეგმა (30,0 ათასი ლარი) შესრულდა 54,3%-ით.

აიპ „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის“ საკასო შესრულება შეადგენს 531,6 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 531,7 ათასი ლარით (100%). პროგრამის ფარგლებში ქალაქმა მონაწილეობა მიიღო 10 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, თანხები დაიხარჯა შემდეგი ღონისძიებებისათვის: პოლიგრაფიული ბეჭდვა; 10 ინფო-ტური, ყველის ფესტივალი, ქალაქის საიმიჯო ვიდეო რგოლი, ქალაქის ტურისტული საიტი, საინფორმაციო მანიშნებლები.


გარემოს დაცვის ხარჯები შეადგენს 5589,7 ათას ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 5640,1 ათას ლარს (99,1%).

აიპ „სპეციალური სერვისებისათვის“ გეგმით გათვალისწინებული 4815,0 ათასი ლარიდან 2018 წელს დაიხარჯა 4812,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,9%-ია. ქვეპროგრამების ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფარგლებიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენები 132 870,53 მ³, დაიგვა და დასუფთავდა 2367,4 ათ.მ² 365 დღის განმავლობაში - 864093,70 ათ. მ², მოირწყა/ჩაირეცხა ქალაქის 557,2 ათ.მ² (გაიხარჯა 1240 მ³ წყალი) - 2150 ათ. მ², დამონტაჟდა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები - 96,2 ძივი/მეტრი, გადაიბელა, სხვლა/ფორმირება ჩაუტარდა - 203 ძირ ხეს, მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 70 ძირი ხე, დამატებით ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავდა - 167 ძირი ხე, მიღებული საშუალებით დაკმაყოფილდა - 192 ბენეფიციარი, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე დაირგო - 205 ძირი ხე. უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოიყვანეს 1915 ძაღლი და 102 ლეკვი, გაშვილდა 203 ძაღლი და 85 ლეკვი, ევთანაზია გაუკეთდა 121 ძაღლს, ბუნებრივად გარდაიცვალა 13 ძაღლი, აცრა ჩაუტარდა 1818 ძაღლს, გაიშვა ბუნებრივ არეალში 1562 ძაღლი, გამოიყენეს 810 ცალი დასანიშნი საჭდეები, ჩაუტარდა სტერილიზაცია 732 და კასტრაცია 830 ძაღლს, ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა 473 ძაღლს, ოპერაციების რაოდენობა 1562, დაკავდა და თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 139 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაიწმინდა სანიაღვრე არხი - 37037 მეტრი, ამოიწმინდა სანიაღვრე ჭები და აღდგა ცხაურები - 2074 ცალი, გაითბა

ბალახისაგან - 712780 მ², შესრულდა სხვა დამატებითი სამუშაოები - 453 შეს. სამუშაო, დამონტაჟდა სანიაღვრე ჭები - 57 ცალი (აქედან, 16 გაუსწორდა გზის ნიშნულს). შეიწამლა ქვეწარმავლების დასაფრთხობად 30 355 მ² მიწის ფართობი, მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 52440 მ² და შეიწამლა სპეციალური რეაგენტებით 137 ძირი კოლხური ბზა.

ქალაქის გამწვანების, მოვლა - პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამისათვის დაიხარჯა 712,2 ათასი ლარი, გეგმა (760,0 ათასი ლარი) შესრულდა 93,7%-ით; ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა გაეწია ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მწვანე საფარს, მოეწყო ჭავჭავაძის გამზირზე სკვერი.

განათლების კუთხით დახარჯულმა თანხებმა 11104,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (11452,1 ათასი ლარი) 97%-ია. 2017 წელთან შედარებით (10988,6 ათასი ლარი) ხარჯები გაზრდილია 115,5 ათასი ლარით.



აიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ 2018 წელს დაფინანსდა 9986,4 ათასი ლარით (გეგმა 10000,0 ათასი ლარი). ქვეპროგრამის ფარგლებში ბაღების გაერთიანებამ უზრუნველყო ქალაქში არსებული 37 ბაგა-ბაღის მოვლა-პატრონობა, დასაქმებული 1660 თანამშრომლის ხელფასით უზრუნველყოფა, ბაღებში რეგისტრირებული 9889 ბავშვის მოვლა და საკვებით უზრუნველყოფა. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან შეძენილ იქნა: 10 ერთეული ბაღების გათბობის საქვაბე დანადგარი, კომპიუტერული ტექნიკა და საკრავი ინსტრუმენტი (პიანინო) ბაგა-ბაღების ფილიალებისათვის.


ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობისათვის გეგმით გამოყოფილი 658,1 ათასი ლარიდან დაიხარჯა 324,6 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 24.10.2017 წლის №2466 განკარგულების საფუძველზე დასრულდა დავითაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის №1-ში მდებარე №4 ბაგა - ბაღის ახალი კორპუსის მიშენება - **53.3** ათასი ლარი, წერეთლის ქუჩის №142-ში მდებარე №3 ბაგა - ბაღის ახალი კორპუსის მიშენება - **71.4** ათასი ლარი; სამუშაოები დასრულდა 2019 წლის დასწყისში, შესაბამისად, ობიექტების მიღება-ჩაბარება და ანაზღაურება განხორციელდა 2019 წელს. ასევე, ქალაქ ქუთაისში ჩკალოვის ქუჩის N3-ში მდებარე N33 და ბუხაიძის ქუჩის N7-ში მდებარე N15 საბავშვო ბაღებზე ახალი კორპუსის მიშენების სამუშაოები იყო გარდამავალი და დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს.

განათლების ღონისძიებების ქვეპროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი 79,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 78,5 ათასი ლარი (99,4%). დედაენის დღესთან დაკავშირებით ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების მე-9-მე-11 კლასის

მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობით ჩატარდა კონკურსი „ქართული ხელნაწერი“. კონკურსში ჩართული იყო 155 მონაწილე, აქედან, 55 მასწავლებელი. ბლოგების კონკურსში – „თავისუფალი თემა“ მონაწილეობდა 18 საჯარო და 4 კერძო სკოლა. გამოვლინდა გამარჯვებული ექვსი საჯარო სკოლის ბლოგი. პროექტ „ეტალონში“ (პირველ ტურში) ჩართული იყო 37 საჯარო და 9 კერძო სკოლა (მე-8-მე-11 კლასელები). ქუთაისელი ეტალონის (მეორე ტური) გამოსავლენ კონკურსში მონაწილეობდა პირველ ტურში გამარჯვებული 84 მონაწილე. საზაფხულო შემეცნებით ბანაკში „მცირე აკადემია“ მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლის 50-მა მოსწავლემ და 10-მა პედაგოგმა. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ქუთაისის საჯარო, კერძო სკოლებისა და ბაგა - ბაღის ფილიალების 95 პედაგოგი. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეებისა და პედაგოგების დაჯილდოების ფარგლებში ფულადი ჯილდო გადაეცა 19 პირს. საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე გაემგზავრა 10-მდე მოსწავლე – სტუდენტი და პედაგოგი. განათლების ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი კონცერტი.

ი. ჭაჭკავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხარჯმა შეადგინა 714,6 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 715,0 ათასი ლარით (99,9%). საბიბლიოთეკო დოკუმენტების რაოდენობა შეადგენს – 1 087 753 ცალს (წიგნი და ჟურნალ-გაზეთი, ელექტრონული წიგნი და „CD“-ხმოვანი წიგნი). 2018 წელს შემოვიდა 2 659 ცალი ახალი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. აქედან: საჩუქრად – 430 ცალი წიგნი; ვაუჩერით შეძენილი – 33 ცალი წიგნი; ტენდერით შეძენილი – 1 694 ცალი წიგნი; პერიოდული გამოცემა გამოწერით – 509 ცალი ჟურნალ-გაზეთი. დეპოზიტარული-გაცვლითი ფონდიდან საჩუქრად გადაეცა ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის საჯარო სკოლას – 210 ცალი წიგნი. ახალ მკითხველთა რაოდენობა შეადგენს – 10 005; საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცემის რაოდენობა – 149806, მ.შ. 109 623 ცალი წიგნი და 40 183 ჟ/გაზეთის კომპლექტი. ელექტრონულ კატალოგში სულ ფიქსირებულია 52 901 ჩანაწერი; 2018 წელს ციფრულ ფოტომატიანეში აიტვირთა 973 ცალი ფოტო; 2018 წელს გაცივრდა 166 ცალი წიგნი.

დასვენება, კულტურა და რელიგია 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 12546,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (12745,0 ათასი ლარი) 98,4%-ს შეადგენს.



აიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას“ 2018 წლის ბიუჯეტით გამოეყო 3540,9 ათასი ლარი, წლის მანძილზე ათვისებულ იქნა 99,1% - 3509,0 ათასი ლარი. მიღებული დაფინანსების შედეგად 2018 წელს

განსაკუთრებული წარმატებით იასპარეხეს გაერთიანების სპორტსმენებმა, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ტურნირებზე. მათ მიერ დაფიქსირდა შედეგები: 1) მსოფლიო ჩემპიონატი და პირველობა I-8, II-3, III-7, სულ: 18 მედალი. 2) ევროპის ჩემპიონატი და პირველობა I-14, II-17, III-11, სულ: 42 მედალი. 3) მსოფლიო თასი I-1, III-1, სულ: 2 მედალი. 4) ევროპის თასი - 1, სულ: 1 მედალი. 5) საერთაშორისო ტურნირი I-98, II-99, III-137, სულ: 334 მედალი. 6) საქართველოს თასი I-8, II-4, III-6, სულ: 18 მედალი. 7) საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა I-96, II-83, III-119, სულ: 298 მედალი. 8) საქართველოში ჩატარებული ტურნირები I-180, II-156, III-219, სულ: 555 მედალი. 9) იმერეთის ჩემპიონატი I-22, II-13, III-18, სულ: 53 მედალი.

სპორტული ღონისძიებების პროგრამა დაფინანსდა 848,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (899,5 ათასი ლარი) 94,4%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, თეიმურაზ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში. ტურნირი გაიმართა 2001-2003, 2006-2008 წლებში დაბადებულთა შორის, ჩატარდა 2018 წლის 14-16 დეკემბერს. ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები და მოწვეული სტუმრები საზღვარგარეთიდან. საქალაქო ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა შორის (ფასიანი საჩუქრების შეძენა) (მკლავჭიდი, წოლმჭიმი, ნარდი), აღნიშნული ქვეპუნქტიდან ჩატარდა ორი ტურნირი, კერძოდ: „ქუთაისის ფესტივალი 2018 შშმ პირებს შორის“, რომელიც გაიმართა 21-22 ივლისს. მონაწილეობდნენ ადგილობრივი და რეგიონებიდან მოწვეული შშმ პირები. სულ: 18 პირი. 27 ივლისს გაიმართა გოჩა ქვარიანის ტურნირი შშმ პირთა შორის ნარდსა და შაშში. მასში მონაწილეობდა 25 პირი. ჩატარდა კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, მონაწილეობდნენ ააიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენები. გაიმართა ალპინიდა და მწყებ და პროფესიონალ მთასვლელთათვის, ექსპედიციაში მონაწილეობდა 18 სპორტსმენი, მიმდინარეობდა 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით. ჩატარდა გელა დარსაძის სახელობის ტურნირი კალათბურთში, ტურნირში მონაწილეობდნენ ქუთაისის, თბილისის აკადემია, კლუბი „სოხუმი“ და თურქეთის „ტრაბზონ სპორი“-ს 2004-2005 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრები გუნდები, ტურნირი ჩატარდა 2018 წლის 21 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა მიმდინარეობდა 10 ოქტომბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით. მასში მონაწილეს იღებდნენ ქუთაისის საჯარო სკოლის მოსწავლეები, შეჯიბრებები გაიმართა სპორტის 8 სახეობაში. ოლიმპიური სისტემით. ჩატარდა ავტორალი პროფესიონალ და მოყვარულ მრბოლელთა მონაწილეობით, ტურნირი გაიმართა 14 ოქტომბერს, მასში მონაწილეობდა ადგილობრივი ავტომრბოლელები სპორტული მოტოციკლებითა და სპ. ავტომობილებით. მოეწყო დავით ჩირაძის მემორიალი ჭადრაკში გოგონათა და ჭაბუკთა შორის (გუნდური პირველობა) მონაწილეობდა სპორტული სასწავლებლების, ორგანიზაციებისა და კლუბების 7; 8; 10 და 12 წლამდე გოგონები და ჭაბუკები, საპრიზო ფონდი 5 000 ლარი გაიცა ბრძანების საფუძველზე. ჩატარდა სასკოლო პირველობა წყალბურთში, ტურნირში მონაწილეობდა ქუთაისის 6 საჯარო სკოლის 60-მდე მოსწავლე. მოეწყო ქორქია – საკანდელიძის სახელობის თასის ტურნირი, ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის 6 გუნდი, სულ 120 სპორტსმენი. ჩატარდა ზ.შეყრილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მ.დოხტურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ტურნირში მონაწილეობდა 2005-2006 და 2007-2009 წლებში დაბადებული სპორტსმენები, ასევე, შეჯიბრებაზე მოწვეული იყვნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის რესპუბლიკის სპორტსმენები. ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის, აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში. ტურნირი გაიმართა 7-დან 10 ივნისის ჩათვლით, მონაწილეობდნენ ადგილობრივი და საზღვარგარეთიდან მოწვეული გუნდები. გაიმართა სპორტული კვირეული - მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში (მარათონი, ტურნირი მინი ფეხბურთში ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის) საპრიზო ფონდი 4 000 ლარიდან 1875 ლარი გაიცა ბრძანების საფუძველზე კახიანოურის, უქიმერიონისა და სულხან-საბას გუნდებზე. მოეწყო წლის

წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება, მონაწილეობდა ქუთაისის წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები სულ 100-110 ადამიანი.

შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“ დაფინანსდა 950,0 ათასი ლარით, ხარჯი შეადგენს გეგმის 100%-ს. საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-მა ჩაატარა დატვირთული საკალათბურთო სეზონი, რომელიც მოიცავდა 4 უმთავრეს ჩემპიონატს, როგორებიცაა: მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი 2018, რომელიც ტრადიციულად ბოლო წლებია ქალაქ ქუთაისში ტარდება იანვარ-თებერვლის თვეში და საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-მა ამ ჩემპიონატში მოიპოვა 1 საპრიზო ადგილი; საქართველოს თასის გათამაშება, რომელიც ჩატარდა 2018 წლის გაზაფხულზე და საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-მა მოიპოვა 1 საპრიზო ადგილი; საქართველოს სუპერლიგის ჩემპიონატი 2017-2018, რომელიც დასრულდა 2018 წლის მაისის თვეში და საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“ გახდა მე-2 საპრიზო ადგილის მფლობელი; დუდუ დადიანის მემორიალი, რომელიც ჩატარდა 2018 წლის შემოდგომაზე და შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“ გამოეთიშა სატურნირო ცხრილს.

სპორტის სასახლე დაფინანსდა 34,3 ათასი ლარით. ააიპ „ქუთაისის ტაეკვონდოს სპორტული კლუბის“ ხარჯმა შეადგინა 2,0 ათასი ლარი.

ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015-ის“ ხარჯმა შეადგინა 199,5 ათასი ლარი, გეგმა (200,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,8%-ით. კლუბში დასქმებულია 24 თანამშრომელი. მათ შორის, 6 საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია. კლუბმა საქართველოს 2017-2018 წლების ეროვნულ ჩემპიონატზე დაიკავა მეორე ადგილი, 2018-2019 წლების მიმდინარე ჩემპიონატის სამი ტურის შედეგით იმყოფება მეორე ადგილზე.

სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია დაფინანსდა 1089,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 1155,5 ათასი ლარი) 94,3%-ია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე დასრულდა 14 სპორტული „ტრენაჟორის“ მოწყობა. განხორციელდა 232 ძელსკამის შექმნა-მონტაჟი საჯარო სივრცეებში. დასრულა 11 ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები. პირველად საქართველოში, ჩვენს ქალაქში მოეწყო ევრო სტანდარტებით აღჭურვილი სპეციალიზირებული სკეიტ-პარკი თაბუკაშვილის ქუჩის N2-ში - მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკის ტერიტორიაზე, დასრულებულია უკვე არსებული 22 სპორტული მოედნის და 4 „ტრენაჟორის“ რეაბილიტაცია.

ააიპ „საფეხბურთო კლუბი მარტვი“ დაფინანსდა 115,0 ათასი ლარით(100%).

შპს „რამაზ შენგელას სახელობის სტადიონი“ დაფინანსდა 246,0 ათასი ლარით; გეგმა 246,0 ათასი ლარი (100%). სტადიონზე ჩატარდა სულ 18 თამაში. უეფას ეგიდით ჩატარდა 2 საერთაშორისო მატჩი.

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებას“ 2018 წლის ბიუჯეტში გამოეყო 3685,9 ათასი ლარი, წლის მანძილზე ათვისებულ იქნა 100% - 3685,9 ათასი ლარი. გაერთიანების ფილიალების აღსაზრდელები ყოველწლიურად ამაღლებენ შედეგებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებზე, 2018 წელს მათ მიიღეს მონაწილეობა: მ.ბალანჩივაძის მე-2 ეროვნულ კონკურსში, ი.ს. ბახის სახელობის ეროვნულ კონკურსში, კლასიკური მუსიკის მე-11 რესპუბლიკურ ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები“, კლასიკური მუსიკის მე-11 რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე ვარსკვლავი შენი“, თურქეთის მე-8 საერთაშორისო კონკურსში „ჰარმონია“, თ.ამირეჯიბის საერთაშორისო კონკურსში, თ.ახობაძის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში, საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა ეროვნულ კონკურსში, შოპენის სახელობის პიანისტთა ეროვნულ კონკურსში, ევგენი მიქელაძის სახელობის საორკესტრო საკრავებზე ახალგაზრდა შემსრულებელთა ეროვნულ კონკურსში, ო.თაქთაქიშვილის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსში, მოცარტის სახელობის მე-2 საერთაშორისო კონკურსში, VII

საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „ბორჯომი“ და ბათუმის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში „BATUMI MUSIC FEST“.

მოსწავლეების მიერ 2018 წელს სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში მოპოვებული იქნა 11 გრან პრი, 34 პირველი ადგილი, 29 მეორე ადგილი, 11 მესამე ადგილი, 18 ლაურეატის წოდება, 62 სპეც. პრიზი.


კულტურის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული 964,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 936,5 ათასი ლარი (97,1%). ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 10 კონცერტი და საიუბილეო საღამო, 47 მხარდაჭერილი ღონისძიება (დარბაზის იჯარით, გახმოვანების აპარატურით, კვებითი მომსახურებით, ტრანსპორტითა და პოლიგრაფიული ნაწარმის ბეჭდვით), 10 გამოფენა, 1 კინოკვირეული, 1 კინოფორუმი, 1 თეატრალური კვირეული, 2 კონკურსი, 2 ფესტივალი, 1 თეატრალური ფესტივალი, 2 ფოტო – გამოფენა. დაფინანსდა 3 ჟურნალის, 5 წიგნის, 1 კლიპის პრეზენტაცია, 1 გაზეთის გამოცემა წლის განმავლობაში. აღინიშნა 4 მასშტაბური ღონისძიება სხვადასხვა აქტივობებით (ორმასობა, საახალწლო ღონისძიებები, დავითობის დღესასწაული, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვ.) დაფინანსდა რადიოგადაცემათა ციკლი, საქართველოს დამსახურებული არტისტებისა და ქორეოგრაფების სტიპენდია გადაეცა 9 ადამიანს (ყოველთვიურად წლის განმავლობაში), გაიცა 5 იუბილარი მხატვრისა და 16 იუბილარი მსახიობის ჯილდო (წელიწადში ერთხელ). ასევე, ბრძანების სახით გამოეყო თანხა და ჯილდო 5 ადამიანს, 1 ქორეოგრაფიულ ანსამბლს და 1 თეატრალურ დასს. მხარდაჭერის ფარგლებში გამოეყო თანხა ქუთაისის 3 თეატრს, ქუთაის – გაენათის ეპარქიას და ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს.

აიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 840,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი - 840,0 ათასი ლარი). ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 27 ადგილობრივ და საერთაშორისო შემდეგ ღონისძიებებში: საქართველოს დროშის პატივგება (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი (სტუმრები შვეიცარიიდან), „დავითობა“, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი (ლ. მესხიშვილის სახ. დრამატული თეატრი), ევროპის ჩემპიონატი რაგბში. სახელმწიფო ანსამბლის შეხვედრა რაგბისტებთან. ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება ბავშვთა და ახალგაზრდა შემსრულებელთა ფოლკლორის ფესტივალი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედის“ ბავშვთა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე, ქორეოგრაფ კოტე დოლაბერიძის საიუბილეო საღამო - საქართველოს საზოგადოებრივი არხი, ჩაწერა გადაცემისთვის „აკუსტიკა“ (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი), „გვირილობა“ (ქუთაისის ცენტრალური ბაღი), ქალაქური მუსიკის კონცერტი (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი. თბილისი, დიდი საკონცერტო დარბაზი), ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედის“ მონაწილეობა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი (დელეგაცია შვეიცარიიდან და კანადიდან), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი ფოლკლორის ცენტრში. ხენარო რეტეგას ფლამენგოს ცეკვის მასტერკლასები ბათუმი (ანბანის კომპის მიმდებარე ტერიტორია), „ფოლკლორის დღეები-2018“, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი „ფესტივალი აღმოაჩინე აბრეშუმის გზის ვარსკვლავი“ (ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი, შვეიცარია (ქალაქი ბერნი, ქალაქი პული), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტები მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი (ფოლკლორის ცენტრი), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი („frindshif force-s“ წარმომადგენლები აშშ-დან და კანადიდან), სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდის მონაწილეობა ქუთაისთან დამოუკიდებელ ქალაქ ტარტუს გუნდის „ტარბატუს“ კონცერტში, სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდის მონაწილეობა ქალაქ ამსტერდამის ქართული სიმღერების შემსრულებელი

გუნდი „მერანის“ კონცერტში (ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი), ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედის“ მონაწილეობა ჯორჯ ბალანჩინის მე-2 საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალში (უკრაინა), ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საახალწლო კონცერტები „ქართული შობა“ ფონდი „მადლიერება“-ს საანგარიშო კონცერტი (მონაწილე-ფოლკლორის ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“. დავით აღმაშენებლის მოედანი), საახალწლო მილოცვა (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი).

ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებები დაფინანსდა 73%-ით (გეგმა - 98,5 ათასი ლარი; ხარჯი 76,8 ათასი ლარი) ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან განხორციელდა შემდეგი პროექტები: „მეწარმე მოსწავლეები“ ავტორი: ააიპ „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია“. მიზანი: ახალგაზრდების მეწარმეობით დაინტერესება და სამეწარმეო უნარ-ჩვევების ხელშეწყობა. მასში მონაწილეობას მიიღებს 50 მდე ახალგაზრდა; პროექტი „ახალგაზრდული საკრებულო“ ავტორი: სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“, მიზანი: აქტიური ახალგაზრდების ჩართულობა საკრებულოს მუშაობაში, საკრებულოს ფუნქციონირების პრინციპების გაცნობა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება. პროექტში ჩართული იყო 25 ახალგაზრდა, რომელიც აქტიურად ჩაერთვება მერიის მიერ ორგანიზებულ 10 პროექტში; პროექტი „ქუთაისი კულტურისა და განათლების ქალაქი“, ავტორი: აიიპ „ანასელი“, დირექტორი ანა ბაქანიძე, პროექტის იდეა მდგომარეობს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გაზეთებიდან ამოკრებილი მასალების შეკრულ წიგნად გამოცემაში, პროექტი „ეს არ არის ჩემი არჩევანი“, ავტორი: საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision International“ ფილიალი საქართველოში, იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამა – პროექტი ეხება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემების გაშუქებას და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას; პროექტი „გაეროს მოდელირება“ ჩატარდა 2018 წლის აპრილის თვეში და მასში მონაწილეობა მიიღო როგორც საქართველოს, ასევე დამმობილებული ქვეყნების 30-მდე ახალგაზრდამ. ახალგაზრდა ლიდერთა საზაფხულო სკოლაში 2018 წელს მონაწილეობდა ქუთაისელი 18 - დან 26 წლამდე 85 ახალგაზრდა. ახალგაზრდა ლიდერთა ზამთრის სკოლაში 2018 წელს მონაწილეობდა ქუთაისელი 18-დან 26 წლამდე 85 ახალგაზრდა. „ახალგაზრდული ინიციატივების“ ფარგლებში სულ შემოვიდა 20-მდე განაცხადი. კომისია ყოველი თვის ბოლოს იკრიბება შემოსული პროექტების განსახილველად და შესაფასებლად. ამ ეტაპზე გამარჯვებულია 4 პროექტი, რომელთა ავტორებიც შემოვიდნენ 20%-იანი დაფინანსებით და შესაბამისად, მათთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 3738,1 ლარი შეადგინა, გეგმა (3935,4 ათასი ლარი) შესრულდა 95%-ით.



ააიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის“ წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 142.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (150,0 ათასი ლარი) 95%-ია. ცენტრის მიერ 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ძირითადი საქმიანობა: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი. პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის დაწესებულებებში დაავადებათა რეგისტრაციის, შეტყობინებისა და ანგარიშების მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების შეფასება და მეთოდური დახმარება. ინფექციის კერებში ლაბორატორიული სინჯების აღება და ტრანსპორტირება რეგიონულ ცენტრში, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალისა და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა სტაციონარებისათვის, ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალების ლოჯისტიკაზე ზედამხედველობა, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი. ანტირაბიული მასალის მიღება და განაწილება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებების გატარება, პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების კვლევა, მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა, სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა და რეკომენდაციების მიწოდება, 5-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვთა გამოკვლევა პარაზიტულ ჭიებზე და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი მედიკამენტით, სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საგანმანათლებლო, სადღმრდელო, საგანმანათლებლო-სააღმრდელო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა, მთავრობის N473 დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ანგარიშების მომზადება-წარდგენა; ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებითა და სპეციფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კამპანიების ორგანიზება და წარმართვა, „C“ ჰეპატიტის სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებებისათვის სწრაფი კვლევის ტესტებისა და სახარჯი მასალის გადაცემა, თვის ბოლოს გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიშის მიღება და წარდგენა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში, ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტუბერკულოზური კერების კვლევა და

კონტაქტებზე ეპიდზედამხედველობა, ყოველთვიური ანგარიშგების წარმოება და წარდგენა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 215,0 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 235,0 ათასი ლარით (91,5%); პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებით დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 627 ბენეფიციარს და ჰემოდიალიზზე მყოფ 117 პაციენტს. 65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის, დახმარება შეადგენდა, წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 130 ლარს, ჰემოდიალიზზე მყოფ პირებს, დახმარება გაეწია თვეში 100 ლარის ღირებულების მედიკამენტებით. სულ 744 ბენეფიციარს გაეწია დახმარება.

სამედიცინო დახმარებისათვის დაიხარჯა 707,5 ათასი ლარი, გეგმის (730,0 ათასი ლარი) 96.9%. პროგრამა ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკის და შემდგომი მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურების თვალსაზრისით. დახმარებით ისარგებლა 2895 პირმა. ამავე პროგრამის ფარგლებში, „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა „C“ ჰეპატიტით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების თანადაფინანსება. დახმარება გაეწია 20 პირს, პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 2915 ბენეფიციარმა.

ეპილეფსიით დაავადებულთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამის ხარჯი შეადგენს 53,6 ათას ლარს, გეგმა (60,0 ათასი ლარი) დაფინანსდა 89,3%-ით. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ეპილეფსიით დაავადებულ პირებს გაეწიათ ანტიკონვულსანტებით დახმარება. დახმარების მოცულობა 0-18 წლამდე ასაკის პირებისათვის 40 ლარს, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირებისათვის 30 ლარს შეადგენდა. დახმარებით ისარგებლა 184 ბენეფიციარმა.

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება დაფინანსდა 3,8 ათასი ლარით, გეგმა განისაზღვრა 6,0 ათასი ლარით (63,3%). პროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარებას. დახმარება თითოეული ბენეფიციარისათვის თვეში 100 ლარს შეადგენდა. დახმარებით ისარგებლა 5-მა პირმა.

სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 17,6 ათასი ლარი, გეგმა (18,0 ათასი ლარი) შესრულდა 97,8%-ით. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა სოციალური საცხოვრისის მოზინადრეთა მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ხარჯი. სოციალური საცხოვრისით ისარგებლა 14-მა ოჯახმა.

სარიტუალო დახმარების პროგრამის ბიუჯეტი გეგმით შეადგენდა 70,0 ათას ლარს, საიდანაც დაიხარჯა 4,5 ათასი ლარი (6,4%). საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დაფინანსდა 17 სარიტუალო მომსახურების ხარჯი.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის წლის განმავლობაში დაიხარჯა 918,7 ათასი ლარი, გეგმის (925,0 ათასი ლარი) 99,3%. პროგრამის ფარგლებში, დახმარება გაეწიათ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის, თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე მატერიალური დახმარება შეადგენს თვეში 40 ლარს, სხვა დანარჩენ შემთხვევაში - 30 ლარს. დახმარება გაეწია 546 ოჯახის 1939 არასრულწლოვან ბავშვს. 60 მრავალშვილიან ოჯახს, მეოთხე და შემდეგი შვილის შემენაზე გაეწიათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება. მე-4 შვილის შემენაზე დაფინანსდა 42 მრავალშვილიანი ოჯახი, თითოეულს

გაეწია 1000 ლარის ოდენობით დახმარება. მე-5 შვილის შეძენა დაფინანსდა 10 შემთხვევაში, თითოეულს გაეწია 1100 ლარის ოდენობით დახმარება. მე-6 შვილის შეძენა დაფინანსდა 5 შემთხვევაში, თითოეულს გაეწია 1200 ლარის ოდენობით დახმარება. მე-7 შვილის შეძენა დაფინანსდა 2 შემთხვევაში, თითოეულს გაეწია 1300 ლარის ოდენობით დახმარება. მე-8 შვილის შეძენა დაფინანსდა 1 შემთხვევაში, ოჯახს გაეწია 1400 ლარის ოდენობით დახმარება.

სოციალური ღონისძიებების პროგრამის საკასო შესრულებამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 285,8 ათასი ლარი, გეგმა (293,0 ათასი ლარი) შესრულდა 97,5%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარკვეული კატეგორიის დეწაწმინდა, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა. კერძოდ, 1 იანვარს დაბადებული 3 ახალშობილის მშობელს გაეწია დახმარება, თითოეულს ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით. დაიხარჯა - 4500 ლარი. 15 თებერვალს, ავღანეთის ომის ვეტერანებს (38 ბენეფიციარი) გაეწიათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება, თითოეულს 150 ლარის ოდენობით. დაიხარჯა -5700 ლარი. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სხვადასხვა კატეგორიის 1963 ბენეფიციარს გაეწია დახმარება, დახარჯულმა თანხამ შეადგინა 48 874,77 ლარი. 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს (21 ბენეფიციარი) გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. დაიხარჯა 21 000 ლარი. 22 ივლისს, რეპრესირებულთა დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე დაიხარჯა 1500 ლარი. შავი ზღვის სანაპიროზე, სამკურნალო სარეაბილიტაციო მომსახურებით ისარგებლა 145 შშმ პირმა. დაიხარჯა 56 168,50 ლარი. 100 და მეტი წლის 2 ბენეფიციარს იუბილესთან დაკავშირებით, გაეწია მატერიალური დახმარება, თითოეულს - 1000 ლარის ოდენობით. დაიხარჯა 2000 ლარი. 1 ოქტომბერს, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციის ბენეფიციარებისათვის მოეწყო ალაფურშეტი, რაზეც დაიხარჯა 797,0 ლარი. ჩერნობილის ტრაგედიის 32-ე წლისთავთან დაკავშირებით, ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე 88 შშმ პირს გაეწია მატერიალური დახმარება, თითოეულს - 115 ლარის ოდენობით, სულ დაიხარჯა 10 120 ლარი. ანაზღაურდა „წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციისა და ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირის ხარჯები. ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 2152 ბენეფიციარს გადაეცა საახალწლო ნობათი.

ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული წლიური გეგმა 164,0 ათასი ლარი დაფინანსდა 159,5 ათასი ლარით (97,3%). აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების თანადაფინანსებას და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას, სულადობის მიხედვით. 2018 წელს, დახმარება ერთწევრიანი და ორწევრიანი ოჯახების შემთხვევაში შეადგენდა 48 ლარს; სამ, ოთხ და ხუთწევრიანი ოჯახების შემთხვევაში – 72 ლარს; ექვსი და შვიდწევრიანი ოჯახების შემთხვევაში – 96 ლარს; რვა და მეტ წევრიანი ოჯახების შემთხვევაში – 120 ლარს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ყოველთვიურად განახლებადი სიის მიხედვით, დახმარებით ისარგებლა 2659 ოჯახის- 7106 წევრმა.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამა - პროგრამის ბიუჯეტი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 168,0 ათას ლარს, დახარჯულმა თანხამ შეადგინა 166,7 ათასი ლარი (99,2%). მატერიალური დახმარებით ისარგებლა 18 წლამდე მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე 1-მა პირმა, თვეში 200 ლარის ოდენობით და სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული 19 ბავშვების რეინტეგრაციის შემდეგ 15-მა ბიოლოგიურმა ოჯახმა, თითოეულ ბავშვზე - თვეში 200 ლარის ოდენობით. ჰემოდიალიზზე მყოფ 135 პირს, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების

დაკმაყოფილების მიზნით, გაეწია მატერიალური დახმარება, თვეში 100 ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლა 155-მა ბენეფიციარმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამის ხარჯმა შეადგინა 30,2 ათასი ლარი, გეგმა (31,0 ათასი ლარი) შესრულდა 97,4%-ით. დახმარებით ისარგებლა სახელმწიფო პროგრამებით - „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 80-მა ბავშვმა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თვეში 40 ლარის ღირებულების, ჰიგიენური საფენების („პამპერსი“) და სველი საღვთეულების შექმნა.

უფასო მგზავრობის პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 186,7 ათასი ლარი, გეგმის (199,0 ათასი ლარი) 93,8%. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსით) უფასო გზავრობის უზრუნველყოფა. მომსახურებით ისარგებლა 914-მა ბენეფიციარმა.

ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 619,3 ათასი ლარით, გეგმა (620,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,9%-ით. მადლიერების სახლში ფუნქციონირებს უფასო სასადილო, სადაც იკვებება 800 ბენეფიციარი.

კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება დაფინანსდა 16,9 ათასი ლარით (71,9%). პროგრამა ითვალისწინებს აბსოლუტური სიყრუის მქონე და ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთებული ოპერაციის შემდგომ, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შექმნის თვალსაზრისით, 13 ბენეფიციარს გაეწია დახმარება. ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება თვეში 95 ლარის ოდენობით და პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება ექვს თვეში ერთხელ, 150 ლარის ოდენობით.

ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის პროგრამა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 18,9 ათასი ლარით, გეგმა (22,0 ათასი ლარი) შესრულდა 85,9%-ით. პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 15-მა ბენეფიციარმა.

„შინმოვლის“ მომსახურების პროგრამა დაფინანსდა 20,0 ათასი ლარით (100%). საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, განხორციელდა „შინმოვლის“ პროგრამა. მომსახურება გაეწევა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000 სარეიტინგო ქულის მქონე 59 ბენეფიციარს, რომლებიც მიჯაჭვულნი არიან საწოლს, ან სახლს და საჭიროებენ სამედიცინო და ფსიქოსოციალურ მომსახურებას საცხოვრებელ ადგილზე.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა დაფინანსდა 124,2 ათასი ლარით, გეგმა (125,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,4%-ით. პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/ მცხოვრებ 2-15 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0 – F84.9). პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (ორი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 53 ბავშვისათვის გაწეული მომსახურება.

შ.შ.მ. პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება დაფინანსდა 7,0 ათასი ლარით, გეგმა (19,0 ათასი ლარი) შესრულდა 36,8%-ით. გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შესწავლილ

იქნა 6 საკონკურსო განაცხადი. გამოვლინდა 2 (ორი) გამარჯვებული, ააიპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრისა“ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ფიზიკური პირის, მამუკა ახვლედიანის მიერ წარმოდგენილი პროექტები. ააიპ „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის“ მიერ განხორციელებული პროექტის: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინდივიდუალურ უნარებზე დაფუძნებული პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა“ ფარგლებში, ინდივიდუალური უნარების გათვალისწინებით, პროფესიული ორიენტაციის ტრენინგი გაიარა 30 შშმ პირმა. აღნიშნული ბენეფიციარებიდან შერჩეულმა 10 შშმ პირმა გაიარა პროფესიული გადამზადების პროგრამა, წინასწარ შერჩეულ ოთხ პროფესიაში: მზარეული, სტილისტი, სასტუმროს საქმის და ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი (სწავლების ბოლოს, 9 ბენეფიციარს გადაეცა სერთიფიკატი). „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინდივიდუალურ უნარებზე დაფუძნებული პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის“ პროექტის განხორციელების პროცესში დასაქმდა 4 შშმ პირი, ხოლო ერთი პირის დასაქმება იგეგმება 2019 წელს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ფიზიკური პირის, მამუკა ახვლედიანის პროექტის: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მუსიკალური განათლება“, ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 10-მა ბენეფიციარმა შეისწავლა მუსიკალურ ინტრუმენტებზე დაკვრა, გალობა და ესტრადული მიმდინარეობის მუსიკა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდა 6,3 ათასი ლარით, გეგმა (10,0 ათასი ლარი) შესრულდა 63%-ით. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებსა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. მთელი წლის განმავლობაში განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 5 (ხუთი) ორგანიზაციისათვის, კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება, თანადაფინანსების პრინციპით. აღნიშნულ ორგანიზაციებში მომსახურება გაეწია 465 ბენეფიციარს. რეაბილიტაციის ცენტრის „ნაიო“ მომსახურებით ისარგებლა - 230-მა ბენეფიციარმა, განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის „თაირისი“ - 30-მა ბენეფიციარმა, „ხიდი-სოციალური ინკლუზიისთვის“ 125-მა ბენეფიციარმა, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი-შშმ ბავშვთა დღის ცენტრი „ჯადოსნური სამყარო“- 30-მა და მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრი და 24 საათიანი მომსახურება - 50-მა ბენეფიციარმა.

მარტოხელა მშობლთა დამარების პროგრამა დაფინანსდა 6,4 ათასი ლარით, გეგმა (12,0 ათასი ლარი) შესრულდა 53,3%-ით. პროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების - ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსებას 30 ლარის ოდენობით. აქედან, ყოველთვიური თანადაფინანსება ოჯახზე შეადგენდა: ელექტროენერგია - 12 ლარი, ბუნებრივი აირი -15 ლარი, წყალი - 3 ლარი. დახმარებით ისარგებლა 27 ოჯახმა

„საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის“ - დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 24,0 ათასი ლარით, გეგმა (25,5 ათასი ლარი) შესრულდა 94,1%-ით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფელს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის - დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12-დან 36 თვემდე 20 ბავშვის დღის ცენტრში კვება და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება.

შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდა 3,0 ათასი ლარით, გეგმა (8,4 ათასი ლარი) შესრულდა 35,7%-ით. პროგრამა ითვალისწინებდა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე, ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებასა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. სმენის აპარატით მოსარგებლე 2 სტუდენტს დახმარება გაეწია აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება თვეში – 95 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, 10 თვის განმავლობაში, დაფინანსდა გადაადგილების პრობლემის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 3 სტუდენტის ტრანსპორტირების ხარჯი, თითოეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია, თვეში 100 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-18 სხდომაზე, 2019 წლის 27 მარტს წარმოდგენილ იქნა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, დავით ნიშნიანიძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია